საქართველოს
კონკურენციის
ეროვნული სააგენტო

გზამკვლევი დოკუმენტი

კონკურენციის საქმეების განხილვისას

პროცედურული სამართლიანობის შესახებ

შექმნილია ევროკავშირის მიერ დაფინანსებული TWINNING-ის პროექტის „საქართველოს კონკურენციის სააგენტოს შესაძლებლობების გაძლიერება“ ექსპერტების მხარდაჭერით

2023 წელი

1. შესავალი

კანონმდებლობის ეფექტიანობის ძირითად განმსაზღვრელ ფაქტორს წარმოადგენს ის, თუ რამდენად ემორჩილება მას სპეციალური სუბიექტი. როგორც ემპირიული კვლევების შედეგად დადგინდა, ხალხი უფრო მეტად იცავს ისეთ კანონს, რომელსაც მიიჩნევს კანონიერად, როგორც შინაარსობრივად, ასევე, აღსრულების კუთხით. თავის მხრივ, კანონის კანონიერება ფასდება იმ ჭრილში, თუ რამდენად არის დაცული მისი აღმასრულებელი ორგანოების მიერ პროცედურული სამართლიანობა.

კონკურენციის სამართლის სპეციფიკა, სანქციები და აღსრულების მექანიზმები ძირითადად დაფუძნებულია ე.წ. ეკონომიკურად რაციონალური არჩევანის პარადიგმაზე, რაც შესაძლოა ერთგვარი წინააღმდეგობრივი ხასიათის იყოს სუბიექტების მიერ კანონის დაცვის კლასიკურ მოტივებთან შედარებით.

თუმცა, პროცედურული სამართლიანობა არის ის ფუნდამენტი, რომელიც დაცული უნდა იყოს სხვადასხვა იურისდიქციის და სფეროს სპეციფიკის მიუხედავად. ამ თვალსაზრისით, კონკურენციის დაცვის უწყებები უნდა მოქმედებდნენ პროცედურული გამჭვირვალობის, წინასწარ განჭვრეტადობის და სამართლიანობის პრინციპებით - დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხით. სააგენტოს წარმომადგენლებს არ უნდა ჰქონდეთ ინტერესთა კონფლიქტი, რაიმე სახის ფინანსური დაინტერესება, არ უნდა განახორციელონ პირთა რაიმე ნიშნით დისკრიმინაცია და სხვა.

არაერთ საერთაშორისო ორგანიზაციას, მათ შორის OECD-ის და ICN-ს, მნიშვნელოვანი ინიციატივები აქვთ განხორციელებული და მრავალმხრივი მოლაპარაკებები აქვთ ჩატარებული, რათა ხელი შეეწყოს პროცედურული სამართლიანობის პრინციპების დაცვის წახალისებას მსოფლიოს მასშტაბით.

<u>გზამკვლევი დოკუმენტი მიზნად ისახავს კონკურენციის სამართლის აღსრულების პროცესში გასათვალისწინებელი პროცედურული სამართლიანობის მინიმალური სტანდარტების მიმოხილვას.</u>

2. თავდაცვის უფლება

„თავდაცვის უფლებასთან“ დაკავშირებული საკითხები არის ერთ-ერთი ყველაზე ფართოდ განხილვადი კონკურენციის სამართალში. თითქმის ყველა იურისდიქციაში, სადაც ხდება კონკურენციის სამართლის აღსრულება, „თავდაცვის უფლების“ დარღვევის მოტივით გასაჩივრებული გადაწყვეტილებები და წარმოებული სასამართლო დავები ძალიან ხშირია.

ევროკავშირის სასამართლოებმა დიდი ძალისხმევა გასწიეს, რათა შემოეთავაზებინათ „თავდაცვის უფლების“ ზუსტი განმარტება, თუმცა, ეს საკითხი მაინც ღიად რჩება. მეორე მხრივ, აღნიშნული ტერმინის ზუსტი დეფინიციის არქონა გამომდინარეობს მისი ბუნებიდან. კერძოდ, „თავდაცვის უფლება“ გულისხმობს პროცედურული სამართლიანობის დაცვას და ემსახურება მხარის უფლებების ხელყოფის აღკვეთას და პრევენციას ადმინისტრაციული წარმოების პროცესში - რაც არის შეფასებითი კატეგორია.

ზოგადად, „თავდაცვის უფლება“ არ გამოიყენება მხოლოდ კონკურენციულ-სამართლებრივი წარმოებების პროცესში, თუმცა, აღნიშნული უფლების დარღვევის მოტივით წარმოებული საქმეების თითქმის სრული უმრავლესობა მაინც ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების (TFEU) 101-ე და 102-ე მუხლების დარღვევას უკავშირდება.

ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლო (ECJ) თითქმის სრულად საკუთარ თავზე იღებდა ამ უფლების განმარტებას და ახდენდა იმ გზების ილუსტრირებას, თუ როგორ უნდა ყოფილიყო დაცული მხარის უფლებები წარმოების პროცესში, ადგენდა განჭვრეტად პროცედურულ გარანტიებს, რომელიც დაფუძნებულია სამართლის ძირითად პრინციპებზე. სასამართლო პრაქტიკის გათვალისწინებით, „თავდაცვის უფლებასთან“ დაკავშირებული საკითხების იმპლემენტაცია მოხდა სამართლებრივ აქტებშიც, თუმცა, ძირითად წყაროდ მაინც რჩება ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს პრაქტიკა.

ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს პრაქტიკის ანალიზიდან იკვეთება, რომ არსებობს პროცედურული გარანტიების განსხვავებული კატეგორიები, თუმცა, „თავდაცვის უფლება“ ძირითადად მოიცავს შემდეგ საკითხებს:

1) მოსმენის უფლებას;
2) მხარის უფლებას, მიიღოს ინფორმაცია მის მიმართ არსებულ ბრალდებებთან დაკავშირებით;
3) საქმის მასალებზე წვდომის უფლებას;
4) წარმომადგენლის ყოლის უფლებას;
5) საკუთარი თავის წინააღმდეგ ჩვენების მიცემის დაუშვებლობის გარანტიას;
6) ადმინისტრაციული წარმოების გონივრულ ვადაში დასრულების უფლებას;

ამასთან, ეროვნულ დონეზე, მხარეთა შორის კომუნიკაცია და ადმინისტრაციული წარმოება უნდა ხორციელდებოდეს ამ ქვეყნის ოფიციალურ ენაზე.

„თავდაცვის უფლება“ არ არის აბსოლუტური და მისი შეზღუდვა შესაძლებელია პროცედურული მიზნებიდან გამომდინარე, თუმცა, მხოლოდ განჭვრეტადი ფორმით, კონკრეტულ დროს, კონკრეტულ ადგილას, კონკრეტული პირის მიმართ და კონკრეტული ფორმით.

2.1. მოსმენის უფლება

იმისთვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს მხარის სრული მონაწილეობა ადმინისტრაციულ პროცესში, წარმოების დაწყების პირველადი სტადიიდანვე, მხარეს გარანტირებული უნდა ჰქონდეს, რომ ისარგებლებს მოსმენის უფლებით.
მოსმენის უფლება ქართული კონკურენციის კანონმდებლობის შესაბამისად, შესაძლოა გამოიხატოს მხარის შესაძლებლობაში, რომ კონკურენციის უწყებას წარუდგინოს საკუთარი პოზიცია, ასევე მონაწილეობა მიიღოს ახსნა-განმარტებისა და შემაჯამებელ სხდომებში.

ამასთან, გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ მოსმენის უფლებით სარგებლობა არ ხდება იზოლირებულად და იგი დაკავშირებულია „თავდაცვის უფლებით“ გარანტირებულ სხვა უფლებებთან. კერძოდ, მხარეს უნდა ჰქონდეს სრული ინფორმაცია ბრალდებასთან დაკავშირებით, ჰქონდეს საქმის მასალებზე წვდომის უფლება და სხვ.

2.2. მხარის უფლება, მიიღოს ინფორმაცია მის მიმართ არსებულ ბრალდებებთან დაკავშირებით

ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს განმარტებით „თავდაცვის უფლების“ დაცვის უზრუნველსაყოფად, მხარეს უნდა ჰქონდეს საქმის გარემოებების შესახებ სრული ინფორმაცია, რასაც უკავშირდება მის მიმართ არსებული ბრალდება. [1]

ევროკავშირში, მხარის უფლება, მიიღოს ინფორმაცია მის მიმართ არსებულ ბრალდებებთან მიმართებით, ძირითადად უკავშირდება საქმის განმხილველი ორგანოს მიერ მხარისთვის „პრეტენზიის შესახებ განაცხადის“ (Statement of objection) გაგზავნას, რომელიც შეიცავს დეტალურ ინფორმაციას საქმის გარემოებებსა და სავარაუდო დარღვევასთან დაკავშირებით.[2] თუმცა, „პრეტენზიის შესახებ“ განაცხადი არ ითვალისწინებს ანალიზს მხარეთა შეთანხმებაში მონაწილეობის ხარისხის შესახებ (მაგ: ვინ არის ორგანიზატორი, დეტალურად რაში გამოიხატებოდა თითოეულის როლი და ა.შ.). მხარისთვის ასევე, ცნობილი უნდა იყოს დავის განმხილველი ორგანოს მიერ მისთვის ჯარიმის დაკისრების შესახებ განზრახვაც.[3]

ქართულ კანონმდებლობაში, „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის სავარაუდო დარღვევის თაობაზე წარმოდგენილი საჩივარი (კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმების თაობაზე საჩივრის გარდა) ეგზავნება მოპასუხე მხარეს და საჩივრის მატერიალური დასაშვებობის შემოწმების ეტაპზევეა მისთვის ცნობილი მის მიმართ არსებული ბრალდებების შესახებ.[4] აღსანიშნავია, რომ ქართული კონკურენციის

---

[1] ECJ Case 48/69, *Imperial Chemical Industries Ltd. v Commission* para 22.

[2] General Court (GC) Case T-352/94 *Mo Och Domsjö AB v Commission.*

[3] ECJ C-189/02 P et al. *Dansk Rørindustri A/S, Isoplus Fernwärmetechnik Vertriebsgesellschaft mbH and Others.*

[4] „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 23, პუნქტი 2.

კანონმდებლობა არ ითვალისწინებს „განაცხადის შესახებ პრეტენზიას“ (Statement of objection) იდენტური ფორმით, როგორც ეს არის ევროკავშირში. თუმცა, არსებობს შემაჯამებელ სხდომამდე სააგენტოს გადაწყვეტილების პროექტის მხარისათვის გაგზავნის სავალდებულო წესი.[5] თავის მხრივ, გადაწყვეტილების პროექტში ასახული უნდა იყოს საქმის როგორც მატერიალური ნაწილი, ასევე, შეფასებები და სააგენტოს მიერ ჯარიმის დაკისრების განზრახვა.

2.3. საქმის მასალებზე წვდომის უფლება

„თავდაცვის უფლებით“ მინიჭებული გარანტიების დაცვის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენს საქმის მასალებზე წვდომის უფლება.

თავდაპირველ ეტაპზე, ევროკომისიის საწყის სტრატეგიას წარმოადგენდა მხარისთვის მხოლოდ საქმის მასალების იმ ნაწილზე დაშვების უფლების მინიჭება, რაც უკავშირდებოდა „პრეტენზიის შესახებ განაცხადში“ (Statement of objection) ასახულ ინფორმაციას. ევროკავშირის გენერალური სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებში - *Soda Ash*[6], *Hercules* and *Cimenteries*[7] მოცემული განმარტებები კოდიფიცირებულ იქნა ჯერ ევროკომისიის 1997 წლის გაიდლაინში, ხოლო შემდგომ 2005 წლის გაიდლაინში[8].

დღესდღეობით აღიარებულია, რომ ევროკომისიამ, კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვით, უნდა უზრუნველყოს მხარის სრულ დოკუმენტაციაზე დაშვება, რომელიც შესაძლოა რელევანტური იყოს საქმისათვის და აღნიშნული უფლების რეალიზაცია დამოკიდებული უნდა იყოს მხარის გადაწყვეტილებაზე - ევროკომისიას არ აქვს უფლება შეარჩიოს დოკუმენტები[9]. ამდენად, ევროკომისია ვალდებულია, მხარეს მიაწოდოს საქმის

---

[5] იქვე, მუხლი 25, პუნქტი 11.

[6] GC T-30/91, *Solvay v. Commission* para 83, 101.

[7] GC Case T-7/89 *SA Hercules Chemicals NV v Commission*.

[8] Commission Notice on the rules for access to the Commission file in cases pursuant to Articles 81 and 82 of the EC Treaty, Articles 53, 54 and 57 of the EEA Agreement and Council Regulation (EC) No 139/2004, OJ C 325/7–15.

[9] ECJ Case 48/69, *Imperial Chemical Industries Ltd. v Commission* para 81-86.

მასალების სრული ჩამონათვალი - რათა მხარეს ჰქონდეს საშუალება იცოდეს, თუ რა სახის დოკუმენტაციაა დაცული საქმეში და მოითხოვოს მათი გაცნობა.

თუმცა, საქმის მასალებზე წვდომის უფლება არ არის აბსოლუტური და არ ითვალისწინებს მხარის მიერ ყველა სახის ინფორმაციის სრულად გაცნობის შესაძლებლობას. კერძოდ, მხარეს შეზღუდული აქვს მესამე პირების კომერციული საიდუმლოების შემცველი ინფორმაციის გაცნობის უფლება, თანამშრომლობის პროგრამის შესახებ განცხადების გაცნობის უფლება[10] და სხვა სახის დაცული ინფორმაციის გაცნობის უფლება.

თანამშრომლობის პროგრამის შესახებ განაცხადზე წვდომა ნებადართულია მხოლოდ „პრეტენზიის შესახებ განაცხადის" (Statement of objection) ადრესატებისათვის (მათი წარმომადგენლებისთვის), თუმცა, მათ არ აქვთ უფლება გადაიღონ ასლები (არც მექანიკური და არც ელექტრონული ფორმებით). ანალოგიურად, ევროკომისიის მიერ დოკუმენტაციაზე წვდომა შეზღუდულია პირობითი ვალდებულებების (commitment) ფარგლებში მიმდინარე ადმინისტრაციული წარმოების დროს იმ პირებისათვის, რომლებიც არ მონაწილეობდნენ პირობითი ვალდებულებების თაობაზე გამართულ მოლაპარაკებებში.[11]

2.4. წარმომადგენლის ყოლის უფლება და „იურიდიული პროფესიის პრივილეგია"

წარმომადგენლის ყოლის უფლებას და „იურიდიული პროფესიის პრივილეგიის" დაცვას, გარკვეულწილად, ასევე მიიჩნევენ „თავდაცვის უფლების" შემადგენელ ელემენტებად.

ევროპის მართლმსაჯულების სასამართლოს მიერ ეს საკითხი შეფასებული იქნა ორი მიმართულებით:

ა) სასამართლომ იმსჯელა, თუ რამდენად არის აუცილებელი, რომ იურისტები იყვნენ წარმოდგენილი ეკონომიკური აგენტის ადგილზე შემოწმების დროს და განმარტა, რომ

---

[10] Commission Notice on Immunity from fines and reduction of fines in cartel cases, OJ C298/17–22.

[11] Commission Notice on the conduct of settlement procedures in view of the adoption of Decisions pursuant to Article 7 and Article 23 of Council Regulation (EC) No 1/2003 in cartel cases, OJ C167/1–6, paras 35–36; Commission Notice on the rules for access to the Commission file in cases pursuant to Articles 81 and 82 of the EC Treaty, Articles 53, 54 and 57 of the EEA Agreement and Council Regulation (EC) No 139/2004, OJ C325/7-15, para 27.

იურისტის დასწრების ელემენტი არ არის ადგილზე შემოწმების კანონიერების განმსაზღვრელი.[12]

ბ) სასამართლომ იმსჯელა „იურიდიული პროფესიის პრივილეგიის დაცვის“ ფარგლებზე და განმარტა, რომ კლიენტსა და იურისტს შორის არსებული კომუნიკაცია დაცული უნდა იყოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იურისტი არის დამოუკიდებელი პირი და არ წარმოადგენს კომპანიის თანამშრომელს.[13]

ამასთან, პროცედურული სამართლიანობის დაცვის მიზნით, ევროკომისია არ ახორციელებს იურიდიული რჩევის შემცველი, სამართლებრივად ფორმულირებული დოკუმენტების ასლის გადაღებას ან მათ რაიმე სახით გამოყენებას - ევროკომისიას შეუძლია, გამონაკლისის სახით, შეაფასოს ამ დოკუმენტების ხასიათი და ბუნება.[14]

ამასთან, „იურიდიული პროფესიის პრივილეგიით“ დაცულია არა მხოლოდ ის კომუნიკაცია, რომელსაც ადგილი აქვს პროცედურული კუთხით - არამედ, ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც უკავშირდება სავარაუდო დარღვევას. ამასთან, პრივილეგია ეხება არა მხოლოდ იმ დოკუმენტებს, რომელიც დამუშავებულია/შექმნილია სამართალწარმოების დროს, არამედ, ნებისმიერი კომუნიკაციის ფორმას. გარანტია ასევე მოიცავს დოკუმენტებს, რომლებშიც იურისტების პოზიციები არის შეჯამებული.[15]

2.5. საკუთარი თავის წინააღმდეგ ჩვენების მიცემის დაუშვებლობის გარანტია

საკუთარი თავის წინააღმდეგ ჩვენების მიცემის დაუშვებლობის გარანტია აღიარებულია, როგორც ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის (ECHR) მე-6 მუხლით დაცული, სამართლიანი სასამართლოს უფლების ერთ-ერთი ელემენტი.

ადმინისტრაციული წარმოების პროცესში, წარმოების ყველა ეტაპზე, ევროკომისიას შეუძლია მოითხოვოს ნებისმიერი სახის ინფორმაცია, რომლის მიწოდების

---

[12] ECJ case 136/79 *National Panasonic (UK) Limited v Commission.*

[13] ECJ 55/79 *AM & S Europe Limited v Commission.*

[14] Case ECJ C-550/07 P *Akzo Nobel Chemicals Ltd and Akcros Chemicals Ltd v Commission.*

[15] GC T-30/89 *Hilti Aktiengesellschaft v Commission*; GC T-112/98 *Mannesmannröhren-Werke AG v Commission* para 58.

ვალდებულებაც აქვთ პირებს.[16] კერძოდ, პირები ვალდებულნი არიან უპასუხონ კომისიის მიერ ფაქტობრივად დასმულ შეკითხვებს და უზრუნველყონ ინფორმაციის მიწოდება, რა დროსაც ეს ინფორმაცია შესაძლოა გამოყენებული იქნეს მათი ან სხვა კომპანიის წინააღმდეგ არსებული დარღვევის დასადასტურებლად. თუმცა, ინფორმაციის მიწოდება არ ნიშნავს იმას, რომ ეკონომიკურმა აგენტმა უნდა აღიაროს კანონსაწინააღმდეგო ქმედების განხორციელება და მისცეს ჩვენება საკუთარი თავის წინააღმდეგ.[17]

2.6. ადმინისტრაციული წარმოების გონივრულ ვადაში დასრულების უფლება

ევროკომისიამ უნდა უზრუნველყოს, რომ მის მიერ განხილული კონკურენციის კანონმდებლობიდან გამომდინარე საქმეები დაასრულოს გონივრულ ვადაში.

აღსანიშნავია, რომ ევროკომისიის მიერ მხოლოდ ადმინისტრაციული წარმოების გონივრულ ვადაში დაუსრულებლობა არ არის საკმარისი პირობა იმისათვის, რომ დადგინდეს მხარის „თავდაცვის უფლების“ დარღვევა. აუცილებელია იმის მტკიცება, რომ ხანგრძლივმა ვადებმა მხარეს შეუქმნა პრობლემები დაეცვა თავი კომისიის ბრალდებებისგან.[18]

ამასთან, „პრეტენზიის შესახებ განაცხადის“ (Statement of objection) გაგზავნამდე არსებულმა, წინამოსამზადებელი პერიოდის არაგონივრულმა ვადებმა, ასევე, შესაძლოა გავლენა იქონიოს თავდაცვის უფლებაზე.

ევროკომისიაში და ევროკავშირის ქვეყნებში მიმდინარე წარმოებისგან განსხვავებით, რომელთაც უმეტესწილად საქმის მოკვლევის კონკრეტულად განსაზღვრული ვადა საერთოდ არ გააჩნიათ, საქართველოს კონკურენციის კანონმდებლობა ითვალისწინებს საქმის მოკვლევის სპეციალურ ვადებს (პირველადი ვადა - 6 თვემდე, შესაძლოა

---

[16] Council Regulation No. 1/2003 of 16 December 2002 on the implementation of the rules on competition laid down in Articles 81 and 82 of the Treaty, OJ L1/1, 2003, article 8.

[17] GC T-112/98 *Mannesmannröhren-Werke AG v Commission* para 58.

[18] ECJ C-201/09 P and C-216/09 P *ArcelorMittal Luxembourg SA v Commission* para 118.

გაგრძელდეს 18 თვემდე).[19] შესაბამისად, ქართული კანონმდებლობის შესაბამისად მიმდინარე მოკვლევა უნდა დასრულდეს სწორედ ამ ვადაში. წინააღმდეგ შემთხვევაში, სააგენტოს გადაწყვეტილების მიმართ გამოყენებული იქნება ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ვადის დარღვევით აქტის გამოცემასთან დაკავშირებული ადმინისტრაციულ კანონმდებლობაში არსებული ნორმები.

3. სასამართლო კონტროლის უფლება

კონკურენციის სამართლის საქმეების განხილვაში ჩართულია ხელისუფლების აღმასრულებელი და სასამართლო ორგანოები.

ევროკავშირის კონკურენციის სამართლის აღსრულების სისტემის დეცენტრალიზაციის ფონზე, ერთი მხრივ, ევროკავშირის წევრმა ყველა ქვეყანამ ეროვნული კონკურენციის კანონმდებლობა შესაბამისობაში მოიყვანა TFEU-ს 101-ე და 102-ე მუხლებთან. ხოლო, მეორე მხრივ, ამავე მატერიალური ნორმების აღსრულება ევროკავშირის თითოეულ წევრ ქვეყანაში ხორციელდება განსხვავებული პროცედურული ნორმებით, რომელიც დამახასიათებელია თითოეული ქვეყნისთვის.

ევროკავშირის დონეზე მზარდია წევრი ქვეყნების ეროვნული კონკურენციის უწყებების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები. შესაბამისად, ეროვნულ დონეზე სასამართლოები კონკურენციის უწყებების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს განიხილავენ სწორედ შიდა პროცედურული კანონმდებლობის დაცვით, რომელიც, რა თქმა უნდა, დიდწილად თანხვედრაშია ევროკომისიის პროცედურულ ნორმებთან.

თუმცა, არსებობს განსხვავებები ეროვნულ სასამართლო სისტემებს შორის. მაგალითად, ზოგიერთ ქვეყანას გააჩნია სპეციალიზებული კონკურენციის ტრიბუნალი (ავსტრია), სხვა ქვეყნებში კონკურენციის კანონმდებლობიდან გამომდინარე დავებს განიხილავენ ადმინისტრაციული პალატები (იტალია, ლიეტუვა). მეორე მხრივ, როდესაც

[19] „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 25, პუნქტი 1-2.

ევროკავშირის წევრ ზოგიერთ ქვეყანაში პირველი ინსტანციის სასამართლო არის უფლებამოსილი გადახედოს კონკურენციის უწყების გადაწყვეტილებებს (მაგ. იტალია), ზოგიერთ ქვეყანაში სააპელაციო სასამართლოს აქვს აღნიშნულ სფეროში კონკურენციის უწყების გადაწყვეტილებების კონტროლის უფლებამოსილება (გერმანია და საფრანგეთი). ზოგადად, სრული სასამართლო კონტროლი გამოხატულია არა მხოლოდ კონკურენციის აღმასრულებელი უწყების მიერ მიღებული გადაწყვეტილების მატერიალურ და პროცედურულ შეფასებაში, არამედ, სასამართლოს მიერ მხარისთვის დაკისრებული ჯარიმის ოდენობის გადახედვაშიც. თუმცა, კონკურენციის უწყებების გადაწყვეტილებების კონტროლის ფარგლები, რომელიც განხორციელებულია სასამართლოს მიერ, განსხვავებულია ყველა ქვეყანაში. მაგალითად, ზოგიერთ სასამართლოს შეუძლია მხოლოდ „გააუქმოს“ კონკურენციის უწყების გადაწყვეტილება და მოსთხოვოს მას - ხელახლა შეაფასოს/გამოიკვლიოს საქმის გარემოებები, სხვა ეროვნულ სასამართლოებს შეუძლიათ შეცვალონ კონკურენციის უწყების გადაწყვეტილებები და თავად მიიღონ ახალი გადაწყვეტილება, ამავე გადაწყვეტილებაში მითითებულ მატერიალურ საკითხებზე დაყრდნობით.

საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, საქართველოს სასამართლოებს აქვს სააგენტოს გადაწყვეტილების სრულად გადასინჯვის უფლება, მათ შორის ჯარიმის ოდენობის ნაწილშიც.[20] საქართველოს სასამართლო სისტემაში არ არის კონკურენციის კანონიდან გამომდინარე დავების განმხილველი სპეციალიზირებული პალატა და სააგენტოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს განიხილავს შესაბამისი ინსტანციის სასამართლოს ადმინისტრაციული კოლეგია/პალატა. ამასთან, კანონმდებლობის შესაბამისად, გადაწყვეტილება საჩივრდება მხოლოდ თბილისის საქალაქო სასამართლოში. [21]

---

[20] „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 33 სეკუნდა.

[21] იქვე.

4. ექსპერტების მონაწილეობა ადმინისტრაციულ წარმოებაში

ექსპერტები ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობენ მათი სამეცნიერო და ტექნიკური ცოდნის გათვალისწინებით. ექსპერტები ეხმარებიან მოსამართლეებსა და კანონის აღმასრულებელ უწყებებს გადაწყვეტილების მიღების პროცესში - ახორციელებენ საქმისთვის მნიშვნელოვანი ფაქტების მოძიებას, შეფასებას, ანალიზს.

არც დავის განმხილველი ორგანო და არც სასამართლო არ არის შებოჭილი ექსპერტების მიერ წარდგენილი მოსაზრებით, თუმცა, მათ ევალებათ დაასაბუთონ დასკვნის გაუთვალისწინებლობის მიზეზები.

სასამართლომ ან ადმინისტრაციული გადაწყვეტილების მიმღებმა ორგანომ შესაძლოა წარმოებაში ჩართოს ექსპერტი, რომელიც შერჩეული იქნება გარკვეული კრიტერიუმების საფუძველზე.

ექსპერტების შერჩევის დროს გათვალისწინებული უნდა იყოს შემდეგი კრიტერიუმები:

• **ექსპერტის ცოდნის განსაზღვრა:** - ექსპერტი უნდა ფლობდეს შესაფერის კვალიფიკაციას და/ან საჭირო ცოდნას ან გამოცდილებას. კვალიფიკაცია დამოკიდებულია ექსპერტიზის სფეროსა და დავალების სპეციფიკაზე. ექსპერტებს მეცნიერების და კვლევის სფეროდან, ძირითად შემთხვევაში აქვთ უფრო ფართო ექსპერტიზის განხორციელების უფლებამოსილება. ექსპერტიზა შესაძლოა ასევე საჭიროებდეს პრაქტიკულ გამოცდილებასაც. ამდენად, მოთხოვნები ექსპერტის კვალიფიკაციასთან დაკავშირებით არის განსხვავებული და დამოკიდებულია განსახილველი საქმის შინაარსზე.

• **დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა:** - ექსპერტი უნდა იყოს ობიექტური, დამოუკიდებელი, არ ჰქონდეს ინტერესთა კონფლიქტი მხარეებთან და მიუკერძოებლად უნდა შეაფასოს განსახილველი საკითხი.

• **დრო და ტექნიკური შესაძლებლობა/ პერსონალური უნარი:** - ექსპერტს უნდა ჰქონდეს ყველა საჭირო ტექნიკური მოწყობილობა იმისათვის, რომ უზრუნველყოს შესასწავლი

საკითხის განსაზღვრულ ვადაში გამოკვლევა და პერსონალურად ხელმისაწვდომი უნდა იყოს სასამართლო პროცესისთვის.

• **ენობრივი შესაბამისობა:** - ექსპერტს უნდა შესწევდეს უნარი, რომ მისი საექსპერტო მოსაზრება გადმოსცეს ზუსტ და საქმის მონაწილეთათვის გასაგებ ენაზე. ამასთან, ექსპერტს უნდა შეეძლოს გადმოსცეს დასკვნის შინაარსი იმგვარი ფორმით, რომ ადრესატისთვის ცხადი იყოს მისი შინაარსი და აძლევდეს არსებითი ხასიათის შეფასების გაკეთების საშუალებას.

• **მის მიერ გაკეთებული დასკვნის სიმყარე და დაცვის უნარი:** ექსპერტს უნდა შესწევდეს უნარი გასცეს პასუხი მისი დასკვნის გარშემო დასმულ შეკითხვებს და არც ერთი მათგანი არ უნდა დატოვოს ღიად.

ეს კრიტერიუმები არ არის ამომწურავი და ექსპერტის შერჩევის პროცესში ყურადღება უნდა გამახვილდეს არა რომელიმე კონკრეტულ მათგანზე, არამედ უნდა მოხდეს მათი შეჯერება. თუმცა, ძირითადი პრინციპი მაინც უნდა იყოს ექსპერტის კომპეტენტურობა, დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა.

5. დასკვნა

პროცედურული სამართლიანობის დაცვა არის ერთ-ერთი აუცილებელი პირობა იმისათვის, რომ საკითხის განმხილველმა ორგანოებმა მიიღონ ობიექტური და სამართლიანი გადაწყვეტილებები. ამდენად, ადმინისტრაციული წარმოების პროცესში კონკურენციის კანონის აღმასრულებელმა უწყებებმა უნდა უზრუნველყონ მხარისთვის „თავდაცვის უფლებით“ მინიჭებული გარანტიების მიცემა (საქმის მასალებზე წვდომა, მოსმენის უფლება და სხვ.). ასევე, გარანტირებული უნდა იყოს სამართლიანი სასამართლოს უფლებაც.